

გაზეთის ფასი

გაზეთის ფასი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტრი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОБНА“.

ხელის-მოწერა

თფილისში: გაზეთის „დროებას“ კონტორაში ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შედგები ადრესით უნდა დაიბარონ: Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОБНА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ შირიშანიძის სახლებში.

ქანტარა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდან კუჩუროვის სახლებში.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

საქართველო: თფილისი 26 ივლისს — წერილი ამბები — სკალკოვის აზრი ჩვენს სამსწავლებლო მდგომარეობაზედ — ქუთაისში „მზის დაბნელების“ წარმოდგენის გამო — „დროების“ კორრექსიონდენცია: შოთიდან — ქუთაისიდან — სკანდიდან — რუსეთიდან. ახალი წესდება ლერბის ქალაქზედ — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — ნარევი — თფილისის აზნაურობის სადგომ-მართლო ბანკის წესდება.

საქართველო

თფილისი, 26 ივლის 1874 წ.

შველასათვის ცხადია, თუ როგორ ძლიერათ არის მოდებული ჩვენს ხალხში სწავლის სურვილი. უღარობეს გლენიდან დაწყებული უპირველესს თვადამდე ყველა იმასა ოცნებობს, რომ თავისი შვილი კაცით გამოაყენოს, ე. ი. ასწავლებინოს რამე. ამ განზრახვისათვის მეცადინეობა და ხალხის გასაოცარია, ნამეტურ გლენობაში. მღენი კაცი არასდროს არ შურავს ოლონდ კი ყმა-წილი შკოლაში მისცეს. ის იკლებს ოჯახში პატარა მუშას, ჰყიდის და აგირავებს უკანასკნელ ყოფა-ცხოვრებას, მიდის ქირაზე, შრომობს გამწარებულად! და ამდენი ღვაწლი, ამ სიდიდე მსხვერპლი იხარჯება იმაზედ რომ ბავშვმა წერა-კითხვა ისწავლოს!

თავად აზნაურობისაგან სრულიად გასაკვირველი არ არის, რომ მან მონარჩენი შემოსავლისაგან შვილის გამოზდა მოისურვოს. ამას გარდა, თავად აზნაურობისათვის განხილია ერთელი ასპარეზი ყველა სასწავლებელში შესასვლელად, ხშირად სახელმწიფო ხარჯითაც, და შემდეგ ყოველ გვარი თანამდებობა, ჯილდო და დაწინაურება! ამის შემხედვე თავადის შვილმან კიდევაც რომ მოიკლოს ცოტა რამე, არ დალონდება; მაგიერათ ის მოკლის შემდეგში ასეულს და ათასეულს! მაგრამ გლენის მდგომარეობა სულ სხვა ნაირია... არც ერთი ამ უპირატესობათაგან, რომელნიც ჩვენ ჩამოვსთვალეთ ადვილად მისაღწევი არ არის გლენისთვის; ის უჩრება ყოველთვის თავის სასოფლო შკოლაში და რაც ბევრი არ იმეცადინოს ამის ზევით ვეღარ მიდის!

მაგრამ ეს დაბრკოლება ვერ სპობს სწავლის უადრეს სურვილს გლენობაში. შინც ჰყოფილა სოფლათ იმას ენახება უთუოთ, როგორის ხალხით და მკვირცხლათ მორბის დილით ადრე რამდენიმე ვერსზედ შკოლაში ახალგაზდა გლენი ქართველი! ხალხს შვილს ვერ აშინებს ვერც ცუდი ტარობი, ვერც შიმშილი და ვერც სიცივე! ძლიერი მისი სული ამ პაწაწა და დაჩაგრულს სხეულში სძლევს ყველა დაბრკოლებას და მართა თავის ენერგიის შემწეობით იკაფვს გზას. მაგრამ რა გზას! რა ღარბას და უმნიშვნელო შედეგით გზას, მკითხველო?!...

ხალხს, რომელსაც მზგავსი ლტოლვილები აქვს სწავლისა, უთუოდ ნათელი და სამართლიანი მომავალი ელის წინ! თუ

ჩვენს სამშობლოში სამსწავლებლო ნაწილი დაყენებულ იქნა სწორ გზაზედ, ეჭვი არ არის რომ ეს კეთილ-შობილი ქართველის ტომი ერთ მოწინავე და განათლებულ ხალხთ შორის მოპოვებს ადვილს.

დასამტკიცებლად, და როგორ ხარისხზედ არის სწავლის, მოთხოვნილება ჩვენში საკმაო, შეხედოთ სასოფლო შკოლებს და გიმნაზიებს. შკოლები, იცის ყველამ, რომ ნიადაგ გატენილია მოსწავლე გლენის შვილებითა და გიმნაზიებში სიმრავლის გამო ჩვენი ახალგაზდა ადგილსაც ვეღარ შოულობს. მაგრამ ისინიც, რომელნიც ასრულებენ კურს, ძვირათ რომელიმე იყენებს თავის სწავლას. შმადლესი სასწავლებელი ჯერ ჩვენ არა გვაქვს, ასე გასინჯეთ არა გვაქვს აგრეთვე არც ერთი ტენიკური შკოლა და ახალგაზდას თითქმის ტყუილად ეპარება ცხრა და ათი წლის შრომა!

რუსეთში ვინ წაე? — მხოლოდ ორი, სამი კაცი, სხვები კი რჩებიან ისე თითქოს თავის ღღვივს არა ეწველოსთ რაო. დამათ რიცხვშია, რომელნიც მიდიან ზოგი ვერ უძლებს სასტიკს ჰაერს და იქვე კვდება ზოგი ტლექიანდება და ზოგი რუსეთში რჩება სასამსახუროთ... მაგრამ ამ საგანზედ ჩვენ მოვიწყვეთ მკითხველს მიაქციოს ყურადღება უ. სკალკოვის აზრს დაბეჭდილს დღევანდელ „დროებაში“.

მეველი.

წერილი ამბები

— სამეგრელოში ძროხის ჭირი გაჩენილა და ძლიერ მრავალი პირუტყვი იხოცება თურმე. შარშანაც იყო ამ გვარი ჭირი, ასე რომ ბევრი იშიშვას, სამეგრელოში რკიანი პირუტყვი სრულიად არ გაწყდესო. საკვირველი ეს არის, რომ ამ ავადყოფობას არავინ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. თუ მცხოვრებლებს იმდენი მოფიქრება და შეძლება არა აქვთ, რომ ექიმები მოიწვიონ, პოლიციამ ხელი უნდა მოუმართოს სოფლებს.

— როგორც წინეთაც შეიტყვეს მკითხველებმა, იმერეთში ძალიან კარგი მოსავალი ყოფილა აბრეშუმის, ასე რომ ეხლა ქსანი ერთ მანეთად ფასობსო.

— მთელს ბურიაში ხევის-თავები ამოურჩევიათ ქურდობის მოსასპობელად.

— გვიამბეს, ვითომც ბურიაში ერთს გლენს იმ ნაირად მოუმართავს წისქვილი, რომ წყალი ბორბლის დაბრუნების შემდეგ ისევ სათავეში აღის და ხელ ახლა წისქვილს ამუშავებსო. ჩვენ ვერ ავიხსნეს, რა ნაირად აღის ეს წყალი მალა, საქანელით, ბორბლით, თუ ჭახრავით.

— ამბობენ, რომ წრეულს ჩვენი ქვე-

ყნიდან სახლგარს გარეთ ორი მილიონი მანეთის საღირალი სრმილი გაუტანიათ.

აბ დღეებში დ. ჩხარის მახლობლათ შორანის უეზღში მკვლელობა მომხდარა. მართი კაცი გვართ პატარიძე მიხლოვი ჭანტური ძეს ყანაში (საღრა ადგილი იყო): დაპკრეს კტიკურთს ჭანტურიძეს და მოპკლეს.

ჩხარელი მოამბე.

სკალკოვის აზრი ჩვენს სამსწავლებლო მდგომარეობაზედ.

ჩემი მყოფობის დროს თფილისში, მე ხშირად გავიგონია სურვილი, რომ იქ ერთი უნივერსიტეტი დაარდეს. მზგავსი სურვილი, უნდა აღვიაროთ, სრულიად კანონიერია, და დაბრკოლებანი, რომელსაც ჰპოულობენ ეხლა ამ აზრის სისრულეში მოსაყვანად, ყოველად უსაფუძვლოა. მხლა ამ დიდს კავკასიის მხარეს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არა აქვს, არა თუ საზოგადო განათლების მისაღებათ, არამედ ტენიკურიცა. ამისთვის იმ განათლებული კაცების რიცხვის აღსავსებად, რომელნიც აქ საჭირო არიან, ძაცასია იძულებულია გამოიწეროს ამ გვარი კაცები რუსეთიდან, ან და გამოზარდოს თავიანთი შვილები რუსეთშივე. მაგრამ აქაური კაცი ვერ უძლებს რუსეთის სასტიკ ჰაერს და ბევრი იმათგანი კვდებიან იქ. ან და მრუნდებიან თავის სამშობლოში კურს დაუსრულებელი. ხოლო ისინი, რომელნიც ათავებენ სწავლას, რჩებიან ხშირად იქვე სამსახურში. ზოგიერთიც, მოშორებული თავის ოჯახის ყურადღებას, დაენებებიან აქაიქ და ვერაფერს ვერ სწავლობენ. უკანასკნელად ამ გვარი საშუალებით აღზრდა უფლება ქვეყანას ძვირად. შევლა ეს დაბრკოლება მოსაზობდა, რომ ერთი უნივერსიტეტი დაეფუძნებიათ აქ. თუ კი მივიღებთ მხედველობაში მოსწავლეთ დიდ-ძალ რიცხს აქაურს გიმნაზიებში, თუმცა ჯერ აქ არ არის შეტანილი საყოველთაო ჯარში სამსახური, რომელიც კიდევ უფრო აიძულებს ხალხს სწავლის მიღებას, მაშინ უნდა დაეთანხმდეთ, რომ თფილისის უნივერსიტეტის ჭაკულტეტები აიყვება მსმენელებითა. მანათლების გავრცელება დაჩქარებდა ამ ქვეყანაში ზნეობით და ნიეთიერებით ხალხის აღმადლებას. მხლა აქაური კაცი მწერლათ შესვლის და აფიცრობის მიღების მეტს ვერას ოცნებობს. მაშინ კი მრავალი გვარი სასარგებლო მოქმედების ასპარეზი გაიხსნებოდა მის წინ.

თფილისის უნივერსიტეტის დაარსება აქამდის სხვა და სხვა უსაფუძველო მოსახრების გამო იყო შეჩერებული. მაგრამ უეჭველია, რომ რუს უნივერსიტეტი საუკეთესო საშუალება იქნებოდა აქაური ხალხის გასარუსებლად და ჩვენთან ამ ქვეყნისა შესაკავშირებლად. ნულარაფერს ვიტ-

ყვით სწავლის კაცობრიულ მნიშვნელობაზედ და უმრავლესი საგნების რეალური მიმამართულებაზედ. საგულისხმობა, რომ აქაური განათლება ვერ გაუმარტდება ვეროპიელ განათლებას, რომელიც იქმნება აქ რუსულ ენაზედ...

ქუთაისში „მზის დაბნელების“ წარმოდგენის გამო.

ჩვენში ძირიელ შესამჩნევია ლიტერატურის და თეატრის მდგომარეობა. როგორც ყოველს ახალად შემოდებულს საქმეს იხეამათაე არა ჰყავს თანამგრძობად საზოგადოების უმრავლესობა. ლიტერატურას, რასაკვირველია, რაც უნდა იყოს, მიიწე აქვს გავლენა საზოგადოებაზედ. რაც კი ცოტოდნე ხეირიანი რამე გამოჩნდება მწერლობაში, წაიკითხება უეჭველად არა მარტო მუდამი მკითხველებისაგან, არამედ სხვებისაგანაც. მაგრამ ლიტერატურას ნამდვილი ძალა მაშინ აქვს, როცა საზოგადოების უმრავლესობა მუდამი მკითხველია. თეატრის საქმესაც ამნაირი ბედი სჭირს. ჩვენში ხშირათ მომხდარა, რომ ზალას ვერ შოულობდნენ ყველა თეატრის მოყვარების დასაკმაყოფილებლად, სადაც უწინ ათასობით მიდიოდნენ საცქერლათ იქ ორასი კაცისთვის მოყვარე ვამეფიციულა. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ერთის მხრით ის არის, რომ პიესა დაძველებულია და თავი მობეზრებით მის მოსმენით; მეორე ისა, რომ აქტიორები ვერ არდგენენ ხეირიანათ. ამ მიზეზებს, რასაკვირველია, დიდი გავლენა აქვს მაყურებლების შეკრებაზედ. მაგრამ ის წარმოდგენა, რომელიც აქ გუშინასწინ მოხდა და რომელზედაც ეხლა მე მიიდა ესთქე, სრულიებით ამორებულია ამ ორ მიზეზს. მართალია „მზის დაბნელება“ საკმაოთ დაძველებული პიესა არის, მაგრამ ყოველ ახალ წერმომადგენლების ხელში და კარგს სცენაზე ყოველთვის საინტერესოა, ყოველთვის აკმაყოფილებს საზოგადოებას. მს დამტკიცდა ათჯერ და ოცჯერაც. ქუთაისში კი ამ პიესის წარმოდგენაზე შედარებით ნამეტანად ცოტა ხალხი იყო. მითომც მიზეზი ის იყო, რომ პიესა დაძველებულია ამის პასუხად მე გავიგონე, რომ რეპეტიციებზედ თითქმის იმდენივე ხალხი დადიოდა საცქერლათ და შესამჩნევია ის არის, რომ ვინც რეპეტიციებზედ დადიოდნენ, უმეტესი ნაწილი თვით წარმოდგენაზედ კი არ მოსულა და რაც შეეხება აქტიორებს მე ვიტყვი, რომ ზოგიერთი როლები ისრე შესამჩნევით წარმოსდგა რომ, უკეთესი როლის ასრულება მე ქართულს სცენაზედ ვერ არ მიიხახავს. მაგ. ქართული გლენის როლში უფ. ლეჟევა ისრე შესამჩნევია იყო, რომ ვინც კი დაკვირვებია ქართულ გლენის ქცევას, ამაზედ უკეთეს მხატვრობას ძნელად შეხედებოდა სხვა როლებიც საუცხოოთ ასრულებს. მართის სიტყვით აქტიორების კრება ამ წარმოდგენაში ერთობ კარგათ იყო, რასაკვირველია, ჩვენის სცენისთვის, მაგრამ ხალხი მიიწე ცოტა იყო.

აი, ჩვენი ხალისი, აი, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება. მართლი თვეები გადის ჩვენი ქუთათურებისთვის მარტო ქალღმრთლის თამაშში, უმნიშვნელო, წერილობით ცხოვრებაში ისრე, რომ ერთჯერაც არ მოისმის არც სასიკვდილო ხეხეში, არც სიცოცხლის გამაღვიძებელი გულის ძეგრა.

შეჩაყი, უფერული ცხოვრება, როგორსაც ქუთათისელები წარმოადგენენ, მე ძნელად მინახავს უდაბნოებშიაც, არამც თუ ჩვენ საქართველოში. შერამე გასაოცარი ის არის რომ როგორ ითმენს იმერეთის მკვირცხლი ბუნება ამ სურათს. თეატრი ერთი იმ შესაქცევართაგანია, რომლითაც საზოგადოება ჩამოადნევიდათ მაინც გაიართობს თავს, თუ სხვა სარგებლობას არაფერს ნახავს. მაგრამ ქუთათურებმა მაინც არ ისარგებლეს ამ საღამოთ და ქალღმრთლის თამაშში, სხვა დო სხვა ჭორებზედ ბაასი არჩიეს. მასხრები ამბობენ, რომ ზოგიერთ ოჯახებში იმ ღამეს განსხვავებული ახალ გაზდა გასათხროვების გამოფენა იყო. ბევრი ენა-ბოროტი კაცი ამასაც უმატებს, რომ ვითომც ეს გამოფენა განკვეთილია, რომ ამით საყმაწვილო თეატრს შნო მოვაკლოთ.

თუ ეს მართალია, ახალგაზრდა რასაკვირველია უპასუხებს, რომ თეატრი მისთვის არ წარმოუდგენიათ, რომ ზალია შნოიანი პირებით აივსილიყო, ამიტომ რომ შნოიანი ხალხია, რაც ჭეშმარიტად უშნოობას წარმოდგენს; ეს ის სულელობა, რომელითაც ზნეობითი სიმაღლე არასოდეს არ წაჭკარება და მარტო ბნელი მტარვალობის სურათი ადევს მათს წარსულს და აწმყუასაც.

ამ ხალხის გროვას არასოდეს და არც ერთს პატრონს ხალხში არ ქონია ის პატრონისი ზნეობითი ძალა და ადგილი, რომელიც ხალხის ცხოვრების ნიშანია. მაშასადამე ახალგაზრდა განა ისრეთი დამრთავებული იქნებოდა, რომ მათ მიქცევადა ყურადღებას და ან მათთვის წარმოსთქვამდა ერთს სიტყვას?

ნუ თუ კიდევ საეჭვოა, რომ ბოროტებას ბოლო აქვს; რომ უმართლობა მართლიანობას თავს უღუწავს და დაშინებული უნებლიეთ სტოვენს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასი და სასურველი იყო. ნუ თუ ძველი ცხოვრების წარმომადგენლები წარმატალი არ არიან?

ათას მან., რომელნიც შოთი-მთილისის რეონის გზის საზოგადოებამ მისცა ქ. შოთის მიწისათვის. — საზოგადოებამ ამაზედ რჩევა ქონა ერთმანეთში, რომოდენიმე იმათგანმა ხმა მაღლა ილაპარაკეს თავ-თავისი აზრი, რომოდენიმე ჩუმით არჩეიდენ, მაგრამ არც ერთიდან სასიკეთო აზრი არ თქმულა ამ საგანზედ; ყველამ ერთობით ითხოვეს ნამდვილი საზოგადო განჩინების წაკითხვა მათ წინაშე; წინააღმდეგ შემთხვევაში უარი სთქვეს 18 ათასი მან. გადახდაზედ.

ეს საქმე დაბოლოვდა დღეს მით, რომ უ. პოლიც-მეისტერმა განუცხადა საზოგადოებას, რომ ის მართლს საქმეს ამ საგანზედ წარუდგენს ქუთათისის ლუბერნიის მმართველს კეთილ-განსახილველად, რადგანაც საზოგადოება ერთი ხმით უარს განაცხადებს 18 ათასი მანეთის გადახდაზედ.

შოთელი მოამბე.

მ. ქუთათისი, 14 ივლისს 1874 წ.

ამ უკანასკნელ დროში რალაქა ძრიელ გაცხარებული არიან შესახებ ზოგის ჩვენებურის ქალების მდგომარეობაზედ, მათს გულ-ადრებულს ოჯახობაზედ და იმ უყურადღებობაზედ, რომელიც არის უმთავრესი მიზეზი ოჯახის და ქმარ-შვილის დამცირებისა. ზოგიერთებმა შეეხრა ამ პირებს „დროებაში“ საზოგადოთ და გამოაშკარა მათი უსინდილობა; თუმცაღა უწინაც ყველამ იცოდა მათი ყოფა-ქცევა, მაგრამ როგორღაც საზოგადო საიდუმლოდ შეადგენდა, იგი ყველამ იცოდა და ერთმანეთს არ უმხელდნენ. — ამაში წინეთ გამოვიდა თუ არა სტატია უფ. „აბამიკანთ ვინა ვარის“ შექმნეს ერთი ამბავი რომოდენიმე ხანს ამაზედ იყო ლაპარაკი: ზოგნი ამტყუნებდნენ და ზოგნი ამართლებდნენ ამ კორრესპონდენტის ავტორს; ის პირები, ვიხედაც იყო დაპირდაპირებული ეს სტატია, ერთ ხანს ძრიელ შეწუხებული იყვნენ და ვისაც შეხედებოდნენ ჰკითხვიდნენ: „ნეტავი რისთვის სწერენ ამისთანა სისულელილეს ვაზეთშიო; მართალია, ამისთანა აღმანიები ჩვენში არიან, მაგრამ არ უნდა გალანძღონო.“ პირში რალს ვეტყვოდი და გულში კი ვიფიქრე: პილიპოლი თუ არ გიქამიათ, პირი არ უნდა გეწოდესთ მეტიკი.

შეველს ეგონა, რომ ეს შემთხვევა რომოდენიც იყო განმავლობას იქონებდა და მოგონებდა ზოგიერთ დედებს თავის საღმრთო მოვალეობას, მაგრამ, შერ არ მომიკვდეს, მათი შვილები ისევ უწინდულათ დატანტალობენ თავ-ფეხშიშველი დაჩამოტრეტილი, როგორც უწინ. იმათ არა ვინ ჰყავს მომხედველი; რასაკვირველია, ამ გვარი მოვლით, ყმაწვილი ვერას კარგს შეიძენს, ყოველი კეთილი თვისება უფუჭდებათ და ზნეობითა დაჩაგრულებში ვარდებიან. მე მამაცხონებული დედები თითონ ძრიელ გამოპრანჭული დაბრძანდებიან, მთელი დღე საღ და საღ სვირობენ, ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის, და შვილების დარდი კი არა აქვთ.

მე მსურს, მკითხველო, მოგახსენო, რა მიზეზის გამო არსებობენ ამისთანა პირები, რომელიც არიან უკანასკნელში მიზეზი თავის ოჯახის და ქმარ-შვილის დამცირებისა. — აბა, წარმოიდგინეთ, ჩვენში ქალის სასწავლებელი ერთის მეტი არ არის; ხშირად სხვა და სხვა წევრები ჩვენის საზოგადოებისა აცხადებენ, რომ ეს სასწავლებელი საკმაო არ არისო: ოთხი კლასია მართა; უმჯობესი იქნებოდა, ეს შკოლა საქალაქო გიმნაზიათ გადაკეთდებოდესო. მეც მავის თანახმა ვარ, ჩემო ბატონო, მაგრამ

რომ ამის კურსსაც არ ასრულებენ: მივლენ თუ არა მეორე ან მესამე კლასამდის, დაიწყებენ თუ არა ცოტადენს ლაპარაკს რუსულათ, მაშინვე არშიყობას და ქმრის ძებნას გამოუდგებიან; ის მის დღეში გულში არ გაუვლიათ, თუ ვერაღნიშნული მათთვის არ კურსი შეასრულონ, შემდეგ ამისა ცოტა რამე კიდევ შეისწავლონ, ცხოვრებას გაეცნონ და როდენიც შესაძლებელი იქნება სასარგებლო დედები შეიქმნენ შემდეგში. არა; დაიწყებენ თუ არა რუსულს ლაპარაკს და ტანცაობას, გულს მაშინვე დააჯერებენ, რომ მეტი მათთვის საჭირო არა არის რაღა დაიწყებენ ფიქრს: დრო არის სულიან ან მისი პრისტიავი შევიერთო; და რადგანაც ცოტა გონიერი სულია იმათ არ შეირთავს, ისევე პრისტავს გამოუდგებიან. ღმერთმან ნუ ქნას, რა რამე დარიგება მისცე, ასეთს ამბავს შექმნიან, დაბადებას დაიწყებენ: დედ-მამასაც ჩაგასმენენ, თავის სიკვდილსაც მოინდომებენ.

წაპყვიანი თუ არა ეს ქალები ქმარს, შვილები ეყოლებათ და რადგანაც მათი მოვლა თითონ არ შეუძლიათ შემოიყვანენ სახლში ვინმე სოფლის დედა-კაცს, რომელსაც მიანდობენ შვილების გამოზრდას; თითონ კი დაფრიალობენ სხვა და სხვა არისტოკრატიულ სახლებში, სადაც ჭამა-სმის და ქორიკანობი გარდა არა ვითარი მოთხოვნილება არ არის კაცის ტვირისათვის. შეეჩვევა თუ არა ამ უსაქმო სახლებში სიარულს ქალი, მერმე თავის ჩვეულებას სიბერეშიაც ვერ მოიშლის: დაიწყებს ხეტიალს დღეს ამისას, ხვალ იმისას და ენის მიტან-მოტანას; ნათქვამია: ჩვეულება სჯულის უმტკიცესი არისო. ამ გვართ გაატარებს დანარჩენ სიცოცხლესაც: სრულ უსაქმობაში.

აბა, მკითხველო, სიდან წარმოსდგებიან ზოგიერთი ეხლანდელი ქალების მზგავსი პირები. და თუ ჩვენში არიან ცუდი მიმართულებისა, და ყოფა-ქცევა გაუფუჭებული ახალგაზრდები, — ეს არის მშობლის და არა სხვის ბრალი.

მკ, როდის მოესწრება საქართველო გონიერი და სასარგებლო ქალების გამრავლებას

მ. დიმიტრი მ.

სოფ. სკანდი, 6-ს ივლისს 1874 წ.

ჩვენ იმერეთის ებ-რხის მღვდლებთ თავის კრებულით, მართალია დიდი გადასახადი გვაქვს ე. ი. საშუალო რიცხვით რომ ვიანგარიშოთ თითოეულ მღვდელს გარდახდება ოცი მან. და ეს ფულები, რასაკვირველია, ყოველივე ქუთათისის სასულიერო სასწავლებლის საჭირო საქმეებისთვის და მომავალი სემინარიისათვის იხარჯება; მაგრამ ერთი თავა საჭირო საქმე და, კიდევ განვიმეორებ, უსუსპირთესი საგანი (რომელსაც უჭეველია ხელი უნდა მოეჭოდეთ) ჩვენი ქუთ. სასწავლებლისა და ჩვენი იმერელი სახლის მომავალი კეთილ-წარმატებისა იქმნება ის, რომელზედაც მე მინდა დღეს მოველაპარაკო ჩემს ძვირფას მკითხველებს.

შოველი პატრონანი და განათლებული კაცის სურვილი ის უნდა იყოს, რომ დაბალი საწყალი ხალხი წარმატებაში წაადგეს და თან და თან თითო ბიჯი წარსდგას წინ და გავრცელდეს წერა-კითხვა; ამისთანა საქმის დაწყებით გარეგან მდგომარეობას გაისწორებს ჩვენი ხალხი; გარდა ამისა უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენმა დაბალი ხალხმა უნივერსიტეტიც გაიფუჯობეს და რომ ვინმე ავთ გაუხდეს, (რომელიც ხშირად მოხდება და უბრალო სნეულებაც არის

ხოლომე იმერეთში) იქვე აღმოვაჩინოთ ვილათ მოჩიხს. რადგანაც ჩვენს ხალხს დიდა გამოცდილი ექიმის მოწვევა და ხარჯი, სიღარიბისა გამო, არ შეუძლია, ამ მიზეზით ის ცრუ-მორწმუნეობას და მკითხველ-მარხივლებს ეტანება და თუ ამას მოვაშორეთ ხალხი, მაშინ მას ზნეობაც გაუსწორდება.

მე ამას ელაპარაკობ ქუთათისის გუბერნიის ხილხხედ და არა სხვაზედ. ჩემმა სამი წლის გამოცდილებამ იმერეთში მიმიყვანა იმ დასკვნამდის, რომ სწორეთ საქირთა ჩემგან ქვემოთ მოყვანილ წინადადებებს დაეთანხმოს მმართველობაც და შეხედულებისამებრ 1-დ დაიწყებინოს ქუთათისის სასულიერო სასწავლებელში მკურნალობის წავლება ისრე, რომ მოსწავლემ სასწავლებელი და სემინარია გაათავოს თუ არა კარგი ფერვალი იქმნეს; 2-დ საღმრთო წერილის სწავლა და კითხვა როგორც არის ეხლა იახზედ კიდევ უფრო გავრცელდეს; 3-დ ამ ნიერი მეცნიერებით სასწავლებლი-დამ გამოსული ეკურთხოს მღვდლათ და გაიგზავნოს სოფელში, და 4-დ ფერვლებს გარდა თავი დოქტორივით უნდა იქმნეს ბლაღოჩინი, რომელმაც უნდა მიიღოს უმაღლეს სასწავლებელში სამკურნალო ნაწილის სწავლა, რომელიც იქმნება თავის საბლაღოჩინო მღვდლების ყურად-მღებელი და მზრუნველი და თურამე ავთმყოფობის წამლობა მღვდლებს გაუჭირდებათ, შაიძლება მიიწვიონ ექიმობისა უფრო მცოდნე ბლაღოჩინი და ის გააკეთებს საქმეს

შეეთუ ის ფული, რომელიც გვხვდება მღვდლებს, საკმაო არ იქმნება, იმ შემთხვევაში, ნაღზირატლობა, რომელიც არის დამტკიცებული ქუთ. სას. სასწ. გაუქმდეს, რადგანაც დიდს საქირთებას და სარგებლობას ქუთ. სასწ. ყმაწვილთათვის არ შეადგენს *) თუ ეს არ ეყოს, იმ შემთხვევაში, მღვდლების (შეხედულებისა მებრ მთავრობისა) პრეველზედ გაწეროს 1. მ., 1. მ—50 კ. მდის. ეს იმ ფულგებდამ, რომელსაც ჩვენი ჯამაგირის (ე. ი. დრამის) ფულიდამ ვაძლევდით ფულის მომკრეფლებს (სბორ-შჩიკებს) მ. 7 მ. მდი. და ურიგო არ იქმნება რომ ეს 5 მ. 7 მ. მდი გარდასახადი, რომელიც მოგვისსეს და ეხლა ეს ფული გვირგდება სულ უხარჯოთ, გარდუხდელათ, — თუ საქირთება მოითხოვს შეესწიროთ საყოველთაო საზოგადო სიკეთეს, რომლიდამაც დაუეწყარი, დაუფასებელი და უცვლადი ძველი აშენდება ჩვენის სახელისა.


მე ისრე ვიცი საწყალი ხალხის ამბავი და იმათი ცხოვრება, რომ რაც ჩქარა იქმნება ის აჯობებს. მე თითქმის ყოველს დღეს ერთჯერ მაინც რომ ერთი ავთმყოფი არ შეხედვს საზირებლათ არ მოხერხდება; მაგრამ მე ვერას ვეხპარებოდი ბევრს. უბრალო ავთმყოფობით რომ კაცი კვდება და ხვდაც ვისაც გული შეესტყევა და ესმის კაცობრიობა, შეებრალება და ვისაც არა ესმის რა, ის არასფრათ არ ჩაადგებს. როგორ სამწუხარო არ არის, კაცს ხვდაც კვდება უბრალო ავთმყოფობით და ვერ ვშველით! იძახას, მიშველეთ, მოგვედი თქვენი ჭირიმე! ჩვენ უპასუხებთ, ნუ გეშინია ღვთის მადლით მალე მოჩიხები? ღმერთი მოწყალეა და სხ. სხვა კი არასფერი. შეშპირიტად რომ ვინმე ნასწავლობა და გამოცდილმა ექიმმა ნახოს იმ სნეულებით მიცვალებული ბევრს იცივნებს....

მე კი ამას ვიტყვი, რომ სწორეთ შემდეგ * ამის არ საჭიროებზედ (არ მხსოვს კი რომელ „დროებაში“ იყო) ჰქონდა სტატია დაწერილი უ. შორ ანგელს.

N.
22 ივლისს 1874 წ.
დროების კორრესპონდენცია
შოთი, 10 ივლისს 1874 წ.

„დროების“ 429 ნომერში მოგახსენეთ ჩამოდენიმე სიტყვა შესახებ რეონის ხიდის გაკეთების რიონზედ შოთში და მაშინ დაგპირდით, რომ, რადგანაც ამ საქმის განხილვა გადიდა შემდგომი დროისათვის, უსათუოდ შეგატყობინებთ, როგორ გათავდება თქო.

დღეს შოთის პოლიც-მეისტერმა ხელახლად მოუწოდა მართელი შოთის საზოგადოებას— ისევ უ. სმირნოვის სახლში— და განუცხადა მათ, რომ ნამდვილი საზოგადო განჩინება (დადგენილი 1869 წ.) ვერ მოიძიეს პოლიციის საქმეებში, და ან საღ არის, ესეც ვერ გავიგეო, დაჰკითხა საზოგადოებას: იმებებს, თუ არა, თავისი განჩინების თანახმად 18 ათასი მან. გადახდას, ხიდის გაკეთებისათვის; ამასთანავე დასძინა, რომ, უკეთუ საზოგადოება არ გადისხის 18 ათას მან., მაშინ მმართველობა მოიხმარს ხიდისათვის იმ 43



ამისა შინცა და მანც უფრო სჯობრა, რომ მღვდლები იმ სწავლით, რომელიც მე ზევითა მოვიყვანე იქმნენ ხელდასხმულ, რომელიც რიგან ცხოვრებასაც მოახერხებენ რადკანაც მკითხვე-მარჩიელების მაგიერ იმათ ექმნებათ შემოსავალი და ხალხსაც ლეილ-მშობელ დედ-მამასავით ეყვარებათ და ესლა რომ ადგილ-ადგილ განხეთქილებაა მრევლს და მღვდლებს შუა ის მოსპობა. იქმნება სთქვას ეინმე იმერელ მღვდელთაგანმა, რომ ამ დალოცვილს ეს რა უწერია და რას მიღებ-მოდებია; მაგრამ ეს იქმნება მოუფერებელი და უსაფუძვლო აზრი. დავფიქრდეთ ყველანი, დრა არის, თუ რაზე შეგვიძლია, რომელიმე იმისთანა საშუალებით, რომელიც მე ზევით ავსწერე და რომელიმე სხვა საშუალებით, რომ ამ ჩვენ საწყალს ხალხს ცოტადნათ მანც მოცუწინდლოთ და მოვაშროთ პირის სახეზედ, მჭუხარების ოფლი...

წერა კითხვის გავრცელება ჩვენ ხალხში სჯობრა. ბევრ ადგილებში წიგნებს საჭიროებენ „სასოფლო შკოლებში“ და „ხალხშიაც“ იმერეთში **); მაგრამ მომარტნი არაენ არის ადგილობრივ და სხვა ადგილებშიაც წიგნები ძვირად ღირს; ამისთვის ძრადე კარგი იქმნება, როგორც რუსეთში იციან წიგნების ტარება სოფლითი-სოფლად, აქაც ისრე მოვიტყეოდეთ, რაც ხელათ გაიყიდება, კარგი და რაც არა, შეიძლება ან პრინციპის მღვდელს და ან სხვა ეინმე პატროსან პირს სოფელში ჩააბაროს თვლით და ფასიც დაუნეშნოს და იმ პირმა მიიღოს შრომა, გაყიდოს და ადგილობრივი ფული წარადგინოს, სადაცა რიგი იქმნება...

428 №-ში „დროებაში“ წაიკითხე სტატია „ქიზიყვად“, რომელმაც ისრეთი მჭუხარების ბეჭედი დამასო შუბლზედ მეტი არ შეიძლება და ის სტატია მე ერთ — თიოდე იმერელ კეთილშობილ პირთან წაიკითხე, რომელთაც თითქმის ფულით შეწყობა ისურვეს შეძლებისაებრ; მაგრამ ათმა და ოცმა რომ ათი და ოცი მან. შეესწიროთ იმითი „ქიზიყვებს“ გმჭირებას ვერ შეუბსუბუქებთო, ასრე სთქვას; უკეთესი ია იქმნებაო, რომ ეინმე იკისროს ეს ერთი საქმე თავზედა, რომლის ამსრულებელი თითქმის იმერეთის ხალხი სულ თუ არა ნახევარი მანც იქმნება. ეს საქმე არის აი ეს: სთხოვოს მთლისის და მთიანის გუბერნატორებს, რომ ჰქნას მიწვრილება უზღის უფროსებზედ და იმათ მამასახლისებზედ, რომ ამა და ამ საწყალი „ქიზიყვებისთვის, რომელიც უპრობით გპირებული არაან ამა და ამ ადგილებში, ჰქენით შემწეობა თითო ბათმანი, ან სიმინდი და ან პური, უფრო შეძლებულმა ორიდამ სამ ბათმანამდის, რომელსაც იმედი მაქვს იმერელი ხალხი ღიდის კმაყოფილებით და სურვილით ასრულებს და მამასახლისები სოფლის ცხენებით და ურმებით მიიტანენ „რკინის გზის“ სტანცებამდის და მერმეთ იმდენი შემწეობა უნდა მოგვეცეს მთავრობამ, რომ სახაზინო ხარჯით ჩაიღდეს ადგილზედ ე. ი. ეინაც და სადაც სჯობრაებენ...

** მანსვენების ძ — შვილის სახელმძღვანელო წიგნი, ვიცი 200 მდი კაცი რომ უნდათ; მაგრამ შოვნა კი ძნელია. თუ არ არის დამტკიცებული, იკისროს ეინმე იმის დამტკიცება და გამოცემა, რომელიც გამოასაღვია დაბალ კლასებში ნასწავლ მასწავლებელთათვის, რომელნიც ჩვენს იმერეთის „სასოფლო“ შკოლებში ბევრი არიან; გარდა ამისა სხვა სახელმძღვანელებიც სჯობრა არიან და სხვა ახალი წიგნებიც რომ გამოვიდა სახალხო, აი მაგ: ალექსიანი, ქალ-ვაჟიანი, ზღაპრები და სხვა.

ეს გამოცდილება იქადან ვიცი, რომ 186. . წ. რომელი წელი იყო ნამდვილათ არ ვიცი, მთიანში საკათედრო სობორო ააშენეს ეხლანდელი თავის მორთულობით, რომელიც იყო ღიდის ხნის დაწყებული და საშუალება რომ არსადგან იყო, ვგონებ ღუბერნატორმა მისცა წინადადება, რომ კომლზედ იმერეთში ორ ორი მან. მოიკრიფასო, რომელზედაც ღიდი სურვილი გამოაცხადა საზოგადოებამ, მოპკრიფეს ფული და კიდეც აშენდა სობორო და რა ურიგო იქმნება, რომ ორი მან. მაგიერ ორი ბათმანი და ან ერთი ბათმანი სიმინდი თუგინდ პური, (რომელიც მშვიდი კაცისთვის სულ ერთია). შეესწიროთ ჩვენს ძმებს და შესწერბისაგან დავინსნათ, სხვა საშუალება ჩვენთვის მოუხერხებელია და სიმინდი, მალობა ღმერთს, ძველაც არის და ახალიც კარგ მოსავალს გვპირდება და ვგრეთვე პურიც მართალია 9 მათილამ თითქმის განუწყვეტილი წვიმა; მაგრამ ჯერ ღიდი ზიანი თითქმის არასფრისთვის არ მიუტია. მხლა თქვენ იცით ჩემო ძვირფასო „დროების“ მკითხველნი. ღმერთმა მშვიდობით გამყოფოთ, თუ „ქიზიყვებისთვის“ იზრუნოთ და თუ არა. . . . ისიც თქვენ იცით. . . .

რუსეთი

ამ ბოლოს დროს რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა 17 მარტს შმადლესად დამტკიცებული ღვინის გარდასახად წესდება. ამ წესდების ძალით ხმარებაში უნდა იქნეს მარტო ორგვარი ღვინის ქალაღი, ორ-აბაზიანი და შალრიანი. პირველზედ იწერება თხოვნები, საჩივრები, განმარტებანი, რომელიც კერძო პირებს სასამართლო და სამსაჯულო ადგილებში შეაქვსო, კერძო პირებისაგან მისაღები პასუხები, კოპიოები, ან-ღვინები, მინდობილობანი და სხვა; მეორე რიგის ქალაღი იხმარება თხოვნათა და საბუთებთა მიღებაში მისაცემის ხელწერილებისათვის და სხვა წვრილმანის წერილებისათვის. ამას გარდა ორი აბაზი გარდაიხდება ყოველს აქციაზედ, ობლიგაციაზედ, გიროსა და უზრუნველყოფის ფურცლებზედ და აგრეთვე იმ საზღვარს გარეთულის სარგებლონ ქალაღებზედ, რომელიც რუსეთში შემოიტანებან. ამ ორ-აბაზიანს და შალრიანს გარდასახად მარტევი გარდასახადი ეწოდება. ამას გარდა დაწესებულია შეფარდებითი ღვინის გარდასახადი ყველა პიროვნობისა და ქონების შესახებ წერილებზედ, რომელიც 50 მინეთზედ ნაკლებ არა ღირან.

იმ საქმეებში, რომელიც შეეხებიან სისხლის სამართალს, სამხედრო ვალდებულებას, გლეხთა ადგილ-მამულებისა და საზოგადოების წყობილებას, მომრიგებელ სამსაჯულოებში, გლეხთაგან საბატონო მიწის იჯარით ასაღების წერილებისათვის და სოფელში ქარაჯა მუშათ დასადგომი პირობისათვის უბრალო ქალაღი იხმარება და არა ღვინიანი.

ღვინის ქალაღს გარდა წესდება შემოიღო ღვინის მარკები და ვისაც თხოვინდა და სხვა რასმის დაწერა სურს, შეუძლიანთ ამისთვის უბრალო ქალაღი იხმარონ და მერმე ზედ მარკები დააწებონ.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი.

მერსალის ნაციონალური კრება სწორეთ საოცარს მაგალითს წარმოადგენს პარლამენტალურ ცხოვრებაში.

ის არ ცნობილობს რესპუბლიკას, რომელიც ხალხმა დაარსა 4-ს სექტემბერს, მაგრამ არ უნდა არც მონარხია. ე. ი. მონარხია კი სურს აღადგინოს, მაგრამ რომელი? იმპერია თითონ ამ კრებამ უარ-ჰყო სამუდამოთ ბორღოში; ორღენებმა თითონ

ანაცხადეს უარი და ნაციონალურა კრებამაც გამოაცხადა მისი წინაღობდგობა; შამბორის მონარხია „სახელითა“ ღვინისათა და უზენაესი უფლებით დადგენილი“ სულ მოუხერხებელი შეიქნა ლაროშჟუკოს წინადადების შემდეგ. ჰერ ერთი, რომ პალატამ უარ-ჰყო შამბორის გამეფება, და მეორე ეს საპატია რაინდი ჰანრი მეხუთე თითონ ცდილობს ყოველთვის გულმოდგინეთ, რომ რა არი თავის მომხრე ლეგიტიმისტებს ხელი შეუშალოს და ყოველი მათი პლანი რომელიმე წერილით, ან მანიფესტით დაარღვიოს. მართი სიტყვით მერსალის ნაციონალური კრება ვერ ახერხებს ვერც ერთი გვარი მონარხის მობრუნებას. მაგრამ თითქმის ჯინისთვის არც სხვა წესის დადგინებას აპირებს.

უკანასკნელი დეპუტები გვაცნობებენ, რომ კენჭის ყრა ყოფილა მაკ-მაჰონის უფლებების დასაწყობად შვიდი წლის განმავლობაში მაგრამ კრებას წმკ ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ ჰმ ხმისა უარი უყვია. ამგვარი გაღანძღვა, დაუნდობლობა და გახეობრება უზირატეის კაცისა სახელმწიფოში ძვირად მომხდარა ისტორიაში და მაკ-მაჰონი, საკვირველია, რათ არ გამოსულა თავის თანამდებობისაგან!

მეორე კენჭის ყრა ძაზიმირ პერიეს წინადადებაზედ ჰყოფილა, ე. ი. ბურჟუაზულ რესპუბლიკის დასაარსებლად, მაგრამ, ამაზედაც უარი-უყვია დღეს პალატას. ამას წინეთ კი ესეე საგანი კარგა ძალი ხმის უმრავლესობით საქირათ ჟიუნო ამავე ნაციონალურა კრებამ. რაც ერთ დღეს აღიარა მეორე დღეს დაანგრა. ამის შემდეგ შეუტანიათ ნაციონალურ კრებაში წინადადება, რომ ეს პალატა დაიშალოს, რადგანაც ვერაფერს ვერ არიგებს. მაგრამ თქვენც არ მომაკვდეთ, პალატას ამაზედაც უარი უთქვამს! მართი სიტყვით, ამ ახირებულ კრებას თითონ ვერ მიუგნია, რა სურს.

არც ერთი სამნიშვნელო წინადადება არ არის, რომ უმრავლესი ხმით ცნობილ იქნეს მერსალის პალატაში და ყველა შემთხვევაში, როდესაც რასმესი უარს თქმა სურს მაშინ ღიდ ძალი კენჭა გროვდება იმისი გასაშავებელათ. ამას შემდეგ ძნელი სათქმელია, რაბოლო უნდა ექნეს ამ გზა-დაზნეულ პალატას?!. რასაკვირველია იმას ღიდი ხნის სიცოცხლე აღ-რ აქვს და მესამარეები მერსალის ნაციონალურ კრებებზედ დგანან, როგორც სთქვა მამბეტამ, მაგრამ როდის ითქმება: „შეუნდე მონ-სა შენსაო,“ ამის ბეჯითად გადაწყვეტა კი ძნელია.

ნარკვი

— აესტრიელ ხანეთებში ამ ბოლოს დროს ერთი ახირებული ჩვეულება აპირებს ფეხის გამ-გარებას; ამ გაზეთებში ხშირად იბეჭდებან მიცვალებულების სახელსა და გვართან იმათი ექმნებას სახელი და გვარიც. მქიმები ძალიან შეაშფოთა ამგვარმა ჩვეულებამ, რომელსაც იმათა სახელის გატება შეუძლიანთ და ამიტომ ისინი ძალიან ეწინააღმდეგებიან ამ ჩვეულების შემოღებას, ისინი ესლა ხელს იღებენ თურმე მძიმე ავითმყოფების ექიმობაზედ.

— ნუთიორკვი ერთი შესანიშნავი სტამბის ამწყობი მაშინა გამოუგონიათ, რომელიც თურმე ფორტეპიანოს ჰგავს და რომლის შემწეობით საბეჭდავი ასოები ერთსა და იმავე დროს კიდეც ამოისხმება და კიდეც იწყება თავის ალღს, აიე რომ ყოველი წიგნის დასაბეჭდად ანაწყობი დაბეჭდის შემდეგ ხელ ახლა უნდა გადაიდნოს და ხელ ახლა ასოებათ უნდა იქცეს. ეს მაშინა სტამბის შრომას სასახეროდ ამოკლებს, რადგანაც ასოებს გადაწყობა აღარ სჭირია.

— ინგლისური გაზეთები შამბორს, რომ აღმოსავლეთ - ინდოეთს საწინასტროში უპოვიათ ისტორიული განძი, რომელსაც ფასი არ დაედება. ეს განძი მიმურღენის ბიბლიოთეკა არის, რომელიც მას ლაშქრობის დროს შეუკრებია. ამ ბიბლიოთეკაში სხვა ძვირფას წიგნთა შორის მაჰმადის ცხოვრების შესახებ ხელ-ნაწერები არის თურმე.

— მენის ქალაქში ერთი შესანიშნავი საექიმო ოპერაცია მოუხდენია ერთს დოქტორს. მართის ოთხმოცდა-თოთხმეტის წლის მოხუცისათვის თვლის კაკლიდგან თერთი ტყუი გადუქრია. მინ წარმოიდგენს ამ მოხუცის სიხარულს, რომელიც ოცდა-ათი წელიწადი ბრმათ იყო თურმე და ესლა თვალი აუხილეს.

წას-ღება
თვილისის ახნაშრობის საადგილ-გა-მულო ბანკისა.
თავი III

დასაგირავებელის ქონების ცეცხლისაგან უზრუნველყოფა.
§ 39 მითოვეული ბანკში გიროდ წარდგენილი შენობა ცეცხლისაგან უზრუნველყოფილი უნდა იქმნეს იმ ფაად, რომ დანიშნულს სესხსა და ორის წლის სარგებელზედ ნაკლები არ იყოს.

§ 40. მუ ცეცხლმა დაგირავებულს ქონებას აენო, ბანკის გამგეობა წარადგენს პოლისს უზრუნველ-ყოფელს საზოგადოებაში, რომელმანაც ცეცხლისაგან მომხდარი ზარალი ბანკს უნდა უზღოს და არა მეპატრონეს. და ეს უკანასკნელი ბანკის გამგეობამ უნდა დააკმაყოფილოს აღრიცხვისამებრ.

§ 41. მუ დაგირავებული შენობა სრულიად დაიწვა, ან და ცეცხლს გადაჩენილი შენობის ნაწილი ბანკის ვალის გარდასახადად საკმაო არ იქმნა, მაშინ ცეცხლისაგან ნაზარალეში ას-ღები ფული ბანკის კასსაში უნდა გარდაიდეს, და ამას შემდეგ, სესხის მდგომარეობის დახედით, დაგირავებული ქონება ან აღკრძალულებისაგან განთავისუფლდება, ან და გიროდ დარჩება მხოლოდ უზღვეველ სესხის ნაწილში, რომელიც დაწესებულის სარგებლით სესხის ვალისგანმავლობაში უნდა გარდახდილ იქმნეს.

§ 42. უზრუნველ-ყოფელის საზოგადოებისაგან გარდასახადი ფული დაგირავებულის ქონების პატრონს უნდა მიეცეს, თუ შენობის დაუმწვარი ნაწილი ბანკის დანარჩენი ვალის გარდასახადად საკმაო და ამ ვალის ფასად დაუყოვნებლივ უზრუნველყოფილ იქმნება.

§ 43. იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველ-ყოფელ საზოგადოებათა, თავის წესდებათებრ, ცეცხლის ნაზარალევის გარდახდა ენატეებათ, ბანკი გიროა ქონების დაუმწვარს ნაწილს გაჰყიდის და თუ ცეცხლი განგებ მეპატრონეს გაუჩენია, მაშინ გასასყიდად დაინიშნება ვალისაგან თავისუფალი სხვა ქონებაც, რაც კი ვალის ამავეალი დაწაშულს გამოაჩნდება.

§ 44. ბნკში დაგირავებულის შენობების გადაკეთების ნება ისე არ მიიცემა, თუ შენობის პატრონი არ წარადგენს ცეცხლისაგან უზრუნველ მყოფელი საზოგადოების მოწმობას, რომ ეს საზოგადოება გადაკეთების დროს მომხდარს ცეცხლისაგან ნაზარალეს გარდინდის ბანკის ვალის შესაფერად. და ბანკს თავის მხრით უფლება არა აქვს, რომ გიროა ადგილ-მამულში შენობა



ბის აგება, გარდაკეთება და შეკეთება და უშუალოდ, თუ რომ ამით გიროს ფასი ან შემოსავალი არ დაიკლებს, მაგრამ ვალის ვადაზედ გადაუხდელია ბანკი ამ აღგროვების ახლის შენობებთან გაყოფის, თუმცა მას ამ შენობებისათვის დამატებითი სესხი არც კი მიეცეს.

თავი IV

დახაგირაველების ქონების დაფასება.

§ 45. ბანკში დასაგირაველების ქონების დაფასება და გარდაფასება (§§ 47 და 48), მებატრონისაგან წარმოდგენილის აღწერილობის გამო, უნდა მოხდეს განსხვავებულის სახელმძღვანელო წესის ძალით, რომელიც ზედამხედველის კომიტეტისაგან შედგენილი უნდა იყოს და საზოგადო კრებისაგან დამტკიცებული.

§ 46. დაფასების საფუძვლად უნდა მიღებული იქნეს ადგილ-მამულის შემოსავალი, რომელსაც განსაზღვრავენ საიჯარო პირობანი, მიწის წლიური ღირებულება, შემოსავლის საიჯარო ფასი და სხვა ცნობები.

§ 47. მებატრონისაგან შედგენილი დაფასებითი აღწერილობა უნდა შეამოწმოს საზოგადო კრებისაგან დამტკიცებული სახელმძღვანელო წესის თანახმად დამფასებელმა კომისიამ და შემდეგ გარდასცეს დაამტკიცებულად გამგეობას, რომელსაც შეუძლიან, რომ დანაფასი შეამციროს, ან სესხის მიცემასზედ სრულიად უარი ჰსთქვას, მაგრამ ის კი არ შეუძლიან, რომ დამფასებლის კომისიისაგან გარდაწყვეტილს ფასს მოუმატოს.

§ 48. ამ გეარის წესითვე უნდა მოხდეს ქონების გარდაგირავებაც.

§ 49. თუ ვადა-გარდაცილებულის ქონების გაყიდვით აღებული ფული ბანკის ვალს ვერ აუვინდა, მაშინ დანაკლისი ბანკმა უნდა იზარალოს და შეავსოს § 23-ში განსაზღვრულის წესით. ამას გარდა ვინც თავდაპირველი დაფასება მოახდინა, ისინი დაფასების დროს განგების დაუდევრობისათვის პასუხს აგებენ როგორც პირად, ისე თავის ქონებით. დამფასებელთა დანაშაულობის ხარისხი სამსჯულოა წესით უნდა განსაზღვრულ იქნეს.

თავი V

გიროს ფურცლები

§ 50. ქველა სამუშაოდ გამოცემული გიროს ფურცლები იმაზედ მეტი არ უნდა იყოს, რაც ბანკს უძრავის საკუთრების გიროსში გრძელის ვადით გაუსესხება და ათჯერს მეტად არ უნდა გადააჭარბოს იმ ფულს, რომელიც უშაღვსად ნაბოძებია თფილისის აზნაურობის სააღდგომ-მამულო ბანკის დასაწყებლად (§ 2, კ. ბ.)

შენიშვნა. დასაფუძნებლის თაენის ნაწილი, მუშაობაში მყოფის გიროს ფურცლების მეორედის ოდენი, ადვილად დასახურდავებელ სახელმწიფო სარგებლიან ქალღმადებელ უნდა ინახებოდეს.

§ 51. ბიროს ფურცლები გაიცემიან უსახელოდ, ასე რომ შეიძლება ისინი ერთი ერთმანერთს დაუთმონ უბრალო გადაცემად მოცემით.

შენიშვნა. ბიროს ფურცლების პატრონს ნება აქვს შეიტანოს ისინი ბანკში შესანახად. ამ შემთხვევაში გიროს ფურცლების მაგიერ პატრონს მის სახელზედ

კვიტანცა მიეცემა, გამგეობისაგან დაწესებული ფორმით.

§ 52. ბიროს ფურცლები უნდა იქმნენ ას, ხორმოცდათ, ხუთას და ათას მანეთიანი.

§ 53. გიროს ფურცლები გამოიცემიან სერიებით 2-ის იანერიდგან და 1-ის იელი-სიდან, სესხთა პირობების თანახმად.

§ 54. ბიროს ფურცლებში ეძლევა ექვსი ნასალი სარგებელი, რომელიც პატრონს შეუძლიან მიიღოს ნახევარ წლობით 2-ს იანერსა და 1-ს იელისს.

§ 55. ბიროს ფურცლების სარგებელი და იმ ფურცლების დასახელებული ფასი, რომელთაც გაუქმების წილი ხედომიათ, უნდა იზღოს არა თუ ყოველ წლობით ბანკში შეტანილის ფულისა (§§ 29 და 30) და გიროს მიღებულის ადგილ-მამულისაგან, არამედ ბანკის დასაფუძნებლისა და შემოსავლის თაენისაგან და მართულის მისის სამკვიდრებელისაგანაც.

§ 56. ბიროს ფურცლების სარგებელი კუპონების წარმდგენელს მიეცემა.

§ 57. ბიროს ფურცლები, რომელთაც გაუქმების წილი ხედომიათ, და კუპონები, რომელნიც ათის წლის განმავლობაში საზღვევრად არ წარდგენილა, კარგენ თავის ღირსებას და მათი ხვედრი ფული ბანკის სასარგებლოდ შეირიცხება.

§ 58. ბიროს ფურცლები ფინანსთ მინისტრისაგან დამტკიცებულის ფორმით იბეჭდებიან; ამ ფურცლებზედ დანიშნულია სარგებლის ზომა, დასახელებული თაენი და გარდახდის ვადა და ამას გარდა მათ ახლავს კუპონების ფურცელი. ბიროს ფურცლები ამოიკრებიან ტალონებიანი წიგნისაგან და გამოიცემიან გამგეობის თავსმჯდომარისა და სხვა ორ წევრთაგან ხელ-მოწერილი. მითი-ფულს გიროს ფურცლებზედ იმ კაცის ხელიც უნდა ეწეროს (გრიფი), რომელსაც ეს საქმე ფინანსთ მინისტრისაგან მიწოდებული აქვს.

შენიშვნა. ბიროს ფურცლების ბლანკები შეიძლება დაიბეჭდოს სახელმწიფო ქალღმადებლის დასამზღვრელს ექ პედიციაში.

§ 59. ბიროს ფურცლები გაუქმდებიან: 1) ბანკის კასილგან დასახელებული ფასის გარდახდით იმ ფურცლებში, რომელთაც გაუქმების წილი ხედათ. ის წილის ყრა უნდა მოხდეს ყოველ წლიე ორჯერ და იმდენის ფურცლების გასაუქმებლად, რამდენსაც აუვა ვალების გასატუმრებლად წლობით გარდასახადი და აგრეთვე ყველა ის ნაღდი ფული, რაც წლის განმავლობაში სესხის ვადადის ვალის გასატუმრებლად შეტანილი იქნება, და 2) იმ გიროს ფურცლების დაწით, რომელნიც, წესდების §§ 13, 32, 40 და 43 თანახმად, ბანკის კასისაში შეტანილი იქნებიან.

§ 60. ბიროს ფურცლების წილის-ყრა და დ-წვა უნდა მოხდეს ბანკის გამგეობაში სახალხოდ ზედამხედველის კომიტეტისაგან დანიშნულის სამის დეპუტატისა და ფინანსთ სამინისტროსაგან დანიშნულის კაცის თანდასწრებით.

შენიშვნა. წილის-ყრა მოხდება ყოველთის ორის თვით წინ გიროს ფურცლების გასაუქმებლად დანიშნულს ვადადის.

§ 61. მართი თვის განმავლობაში იმ დღი-დგან დაწყებული, როცა წილის-ყრა მოხდა, წილ-ხედომილის გიროს ფურცლების ნუმ-რები უნდა გამოჰკიდონ ბანკის გამგეობაში

და გამოაცხადონ § 15-ში დასახელებულს დაზეთებში.

§ 62. ბიროს ფურცლები მიიღებიან ყოველგვარ სახაზინო იჯარის გიროსთ ფინანსთ მინისტრისაგან გარდაჭრილ ფასთ; ისინი გიროსთ მიიღებიან აგრეთვე სახელმწიფო ბანკში, იმის კანტორებსა და განყოფილებებში, სახელმწიფო ბანკის წესდების თანახმად.

§ 63. ქალბი გიროს ფურცლების გაცემებისათვის დამნაშაენი მსაჯულებას მიეცებიან და დასჯებიან, როგორც ყალბი სახელმწიფო ქალღმადებლის გაცემებისათვის.

თავი VI

ბანკის გამგეობა

§ 64. ბანკის საქმეებს მართავს გამგეობა, რომელიც იმყოფება ქ. თფლისის და შესდგება სამის წევრისაგან, სახელდობრ: თავსმჯდომარისა და ორის დირექტორისაგან, რომელთაც საზოგადო კრება ირჩევს.

ბანკის გამგეობას მიჩენილი ჰქვას დამფასებელი კომისია ხუთის წევრისაგან, რომელთაც აგრეთვე საზოგადო კრება ირჩევს სამის წლის ვადით. გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრნი აღირჩევიან თავდაპირველად გუბერნიის აზნაურობის პირველს საჯერო კრებამდის და შემდეგ სამის წლის ვადით.

შენიშვნა. გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრთ რიცხვს შეიძლება, საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისამებრ, მოემატოს, რამდენიც საჭირო იქნება.

§ 65. თავსმჯდომარის დაუსწრებლობისა და აუდამყოფობის დროს იმის ადგილს აღრჩევით უფროსი გამგეობის წევრი იქერს.

§ 66. დამფასებლის კომისიის თავსმჯდომარედ დანიშნება აღრჩევითი ხმების რიცხვით უფროსი წევრი.

§ 67. მართი წელიწადი რომ გაივლის იმას შემდეგ, რაც გუბერნიის აზნაურობის პირველს საჯერო კრებაში გამგეობის წევრებს არჩევენ, ერთი გამგეობის დირექტორთაგანი წილის ყრით უნდა გამოვიდეს, მეორე წლის შემდეგ გამოვა მეორე დირექტორი და მესამე წელიწადი რომ შესრულდება გამგეობის თავსმჯდომარე გამოვა. ამას იქით ყოველწლიე გამოიან ის დირექტორები, რომელნიც თავის ვალდებულებას სამსწელს ასრულებდნენ; აგრეთვე გამგეობის თავსმჯდომარეც გამოვა სამის წლის იქით ამ თანამდებობაზედ არჩევიდგან. გამოსული თავსმჯდომარე და დირექტორები შეიძლება ხელ-ახლად არჩეულ იქმნენ.

§ 68. გამგეობისაგან გამოსულის წევრის მაგიერ ახლის წევრის არჩევის დროს, საზოგადო კრება კანდიდატებს გარდა (§ 69) გამოარჩევს თვისმორის ორს კაცს, რომ იმთ გამგეობისაგან გამოსავლელის ორის წევრის თანამდებობა დაიჭირონ მომავალს, სამის წლის იქით მისაწევს, საზოგადო კრებამდის.

§ 69. გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრთ აღმორჩევის დროს, აღმორჩევიან იმავე რიგით თითოეულს თანამდებობაზედ კანდიდატი, რომელთაც უნდა დაიჭირონ ეს ალაგებო, თუ ვინცოდაა წევრნი დიდის ხნით სხვაგან არიან, ან აუდამყოფობენ, ან და ვადადის გამოვიდნენ.

კანდიდატებს მიიწევს გამგეობის თავსმჯდომარე აღრჩევითი ხმების უმრავლესობისამებრ. ის კანდიდატები უნდა დარჩნენ თანამდებობაზედ იმ ვადადის, რამდენითაც

გამგეობისა და დამფასებელი კომისიის უმრავლესი წევრნი არჩეული იყვნენ. როცა კანდიდატთა გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრის თანამდებობაზედ სდგას, ყველა უფლებით სარგებლობს და ყველა ვალდებულებას ასრულებს, როგორც გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრი.

§ 70. გამგეობისა და დამფასებელი კომისიის თავსმჯდომარეთა და წევრთ, და სხვა გამგეობაში მოსამსახურე პირთა, ნაღდი შემოსავლის ნაწილს გარდა, რომელიც ამ წესდების § 90-ით განსაზღვრულია, ეძლევათ ჯამაგირი ზედამხედველი კომიტეტისაგან გარდაჭრილის და საზოგადო კრებისაგან დამტკიცებულის ჰზომით.

§ 71. გამგეობის განკარგულებაშია ბანკის საქმეები და თაენები, ამ წესდების საფუძვლით. გამგეობა ამტკიცებს დასაგირავებულის ადგილ-მამულის დანაფასს; სწევრებს სესხის მიცემას; სდებს აღკრძალულებას იმ ადგილ-მამულებზედ, რომელთა გიროსი სესხი გაუცია; ამზადებინებს, სამუშაოდ სცემს, ზუქმებს და სწევს გიროს ფურცლებს; თვალ-ყური უჭირავს, რომ სესხისამლეობაგან გარდასახადი დროზედ შემოსდომოდეს, რომ სარგებელი და თაენი გიროს ფურცლებში დროზედ მიეცემოდეს; ნიშნავს მოკლე-ვადიანის სესხის გაცემას; სცდილობს, რომ ვალის დამგვიანებელს დროზედ შემოუტანელი ფული გარდაახდევინოს და ვადადის გარდაცილებული გიროსები გაჰყიდოს; ნიშნავს ბანკის საკუთრებად გამხდარის ადგილ-მამულების მმართველებს; თვალ-ყური უჭირავს ბანკის წიგნებისა და ანგარიშების კანონიერად წაყვანაზედ; ნიშნავს და სცდილობს ბუღალტერებს, კასირებს და სხვა მოსამსახურე პირთა; ასრულებს მომსახურე ზედამხედველის კომიტეტის და საზოგადო კრების გარდაწყვეტილებანი; ნიშნავს უფლებებში თავის აგენტებს და ექილებს ბანკის ინტერესის დასაცველად და დასაფარავად და საზოგადოდ ის სცდილობს ბანკის სარგებლობაზედ, და ყოველის მისის ვალდებულებების ნამდებლად ასრულებას წესდების თანახმად; და იმ კითხვებზედ, რომელნიც ბანკის წესდებაში არ შეტანილა, გამგეობა თავის მოსაზრებას ზედამხედველს კომიტეტს წარუდგენს.

§ 72. რომ გამგეობისა და დამფასებელი კომისიის გარდაწყვეტილებას ძალა ჰქონდეს, საჭიროა რომ სხდომასზედ სამი წევრი მინც იყოს და ამათ რიცხვში თავსმჯდომარეც.

§ 73. დამფასებლის კომისიის ვალდებულება არის, რომ ბანკში დასაგირავებულის ადგილ-მამულის დანაფასი შეამოწმოს საზოგადო კრებისაგან დამტკიცებულის სახელმძღვანელო წესის თანახმად. თავის მოქმედებათ ანგარიშს დამფასებელი კომისია წარადგენს ყოველს ნახევარ წლობით ზედამხედველს კომიტეტში, ბანკის გამგეობის საშუალებით.

§ 74. ბანკის გამგეობის და დამფასებელი კომისიის გარდაწყვეტილებანი დიდებთან ხმის უმრავლესობით. თუ ხმები თანასწორად გაიყო, თავსმჯდომარის აზრი გადასდებენ.

ბანკის გამგეობისა და დამფასებელი კომისიის გარდაწყვეტილებანი ჩაიწერებიან ჟურნალებში და ზედ სხდომასზედ დამსწრე წევრები ხელს მოაწერენ.

სამმართველოებსა და სამსაჯულოებში წარსადგენი ჟურნალისაგან გამოწერები და აღსრულებითი ქალღმადებლები, ხელ-მოწერილი უნდა იქმნენ თავს მჯდომარისა და ერთის გამგეობის წევრისაგან.

§ 75. შინაგანი საქმეთ-წარმოების რიგი და სამსახურში სხვა და სხვა პირთ განწყევება, მათი დათხოვნა, აგრეთვე უფლებანი და ვალდებულებანი ბანკის მოსამსახურეთა, აგენტთა და ექილთა; დაიდგენებიან გამგეობისაგან შედგენილის სახელმძღვანელო წესით.

§ 76. გამგეობის თავსმჯდომარე და წევრნი პასუხის მგებელნი არიან მაშინ, თუ რომ იმათ დაარღვიეს წესდება და ზედამხედველის კომიტეტის კანონიერი გარდაწყვეტილებანი; მაგრამ ისინი პასუხს არ აგებენ მესამე პირთ წინაშე, იმ ვალდებულებათათვის, რომელითაც ისინი ბანკის სახელით მიიღებენ.